მეორე მატჩი ბელგიაში

ლიეჟი. (ბელგია). 17 ნოემბერს თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა ჩაატარეს აქ თავიანთი მეორე მატჩი. ამჯერად მათს წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი “სტანდარტი”.

აღსანიშნავია, რომ ბელგიის ერთ–ერთი საუკეთესო გუნდი “სტანდარტი” ამჟამად ცუდ ფორმაში იმყოფება და გათამაშების ცხრილში 6 ქულით საკმაოდ დაბალი ადგილი უკავია. ეროვნული ჩემპიონატის IX ტურში “სტანდარტი” შეხვდა “განტუაზს” და წააგო მატჩი ანგარიშით 4:6, ხოლო თბილისელთა შეხვედრა “განტუაზთან”, როგორც ცნობილია, დამთავრდა ფრედ – 3:3.

ამიტომ “დინამოსთან” შეხვედრისათვის “სტანდარტის” ხელმძღვანელობამ გააძლიერა თავისი შემადგენლობა სხვა კლუბების რამდენიმე ძლიერი მოთამაშით.

მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა ბელგიელთა სასარგებლოდ – 1:0. მეორე ტაიმის დასაწყისში კალოევმა გაქვითა გოლი, მაგრამ მასპინძლებმა გაიტანეს მეორე ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი მათ სასარგებლოდ – 2:1.

19 ნოემბერი, 1959 წ.